პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 204 (3181) 19 1966 წ. ოქტომბერი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 28-ე წელი




## ე. კაცურა — ჩემპიონი და რეკორდსმენი

ბერლინი, 18 ოქტომბერი. დღეს ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობდნენ მსუბუქი წონის სპორტსმენები. I ადგილი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიხვეჭა საბჭოთა ათლეტმა ე. კაცურამ — 487,5 კილოგრამი. ეს შედეგი მსოფლიოს ახალი რეკორდია. II ადგილზე გავიდა პოლონელი მ. ზელინსკი — 410 კგ., III — ფ. ჯალაევი (ირანი) — 405 კგ. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ იაპონელები — 15 ქულა. საბჭოთა ძალოსნები ლიდერს 1 ქულით ჩამორჩებიან.

სურათზე: ე. კაცურა შეჯიბრებისას.

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## ბარნაულსა და მოსკოვში

„ა" კლასი I ჯგუფი

● 18 ოქტომბერს შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

ნეიტრალურ მინდორზე — ბარნაულში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივი" და ტაშკენტის „პახტაკორი". მატჩის შედეგია 2:0 რკინიგზელთა სასარგებლოდ.

მოსკოვის არმიელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს „შახტიორი" (დონეცკი). გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0.

## 8 მატჩი

„ბ" კლასი IV ზონა

● გაიმართა „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდების კალენდარული მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში: „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „უროჟაი" (დერბენტი) 4:0, „უროჟაი" (კრიმსკი) — „დინამო" (მახაჩყალა) 1:1, „უროჟაი" (მაიკოპი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 4:0, „ურალანი" (ელისტა) — „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) 4:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „დინამო" (სოხუმი) 1:0, „დილა" (გორი) — „კოლხიდა" (ფოთი) 2:1, „მეშახტე" (ტყიბული) — „ენგური" (ზუგდიდი) 1:0, „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0.

## ჩემპიონობას აღარაფერი უკლიათ

მოსკოვი, 17 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მეორე კალენდარულ დღეს გათამაშების ლიდერმა — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა: ამჯერად დაამარცხა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი — ლვოვის „დინამო" — 6:2. ეს სამხედრო მეზღვაურთა მე-16 გამარჯვებაა ჩემპიონატში. ლიდერს 18 თამაშიდან 33 ქულა აქვს. დარჩენილ ოთხ მატჩში მოსკოველებმა მხოლოდ 3 ქულა უნდა აიღონ და ოქროს მედლებიც განაღდებული ექნებათ.

თბილისის „დინამოს" მორიგი მეტოქე ლენინგრადის „ბალტიკა" გახლდათ. საინტერესო შეხვედრა თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა — 6:4. აღსანიშნავია, რომ ჩვენს გუნდს ჩემპიონატში ყველაზე მეტი ბურთი აქვს გატანილი — 81. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დინამოელთა თავდასხმა ტურნირის სხვა მონაწილეთა შორის ყველაზე შედეგიანი და აგრესიულია. სამწუხაროდ, თბილისელები „მოწინავეთა" შორის იმყოფებიან მიღებული ბურთების რაოდენობითაც (71), რაც დაცვითი ხაზების აშკარა სისუსტეზე მეტყველებს.

საპრიზო ადგილებისკენ დამაჯერებლად მიიწევს მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელთა კოლექტივი. დღეს მან დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი" — 4:2. სტუდენტებმა 18 თამაშის შემდეგ 27 ქულა დააგროვეს. სატურნირო ცხრილში ისინი ჯერჯერობით II ადგილზე არიან.

ზ. ჯაფარიძე.

### უკანასკნელ საათს!

გუშინ თბილისის „დინამოს" წყალბურთელებმა დაამარცხეს მოსკოველი თანაკლუბელები — 3:2.

### საათი!

◆ ციურიხი, 18 ოქტომბერი. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მეხიკოს ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველთა სია. მათი რიცხვია 66. ტურნირში ევროპის 19 ქვეყანა გამოვა. მათ შორის არიან საბჭოთა სპორტსმენები, აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონები — ინგლისელები, უნგრელები, იტალიელები, ჩეხოსლოვაკიელები, ბულგარელები და სხვ. აზია წარმოდგენილია 13 ქვეყნით, აფრიკა — 15, ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკა — 11, სამხრეთ ამერიკა — 8. შესაძლოა მონაწილე ქვეყნების რიცხვი გაიზარდოს.

◆ ლიუბლიანა, 18 ოქტომბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ახალ გათამაშებაში მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელთა პირველი მეტოქე იქნება ლუქსემბურგის ჩემპიონი. ჩვენებთან ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ ბელგიის, შვეციისა და რუმინეთის ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებულნი.

◆ ბუდაპეშტი, 18 ოქტომბერი. აქ, ახალ სპორტულ დარბაზში, რომელიც 1200 მაყურებელს იტევს, შედგა უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრა ხელბურთში ვაჟთა შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 20:16 (11:9).

◆ თბილისი, 18 ოქტომბერი. აქ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს ოსტატობის კანდიდატთა ტურნირში I-II ადგილებზე გასულ გ. მაჭავარიანისა და ს. ჩეჩელიანის მატჩი. დღეს გაიმართა ამ ორთაბრძოლის IV პარტია (III შეხვედრა ყაიმით დამთავრდა). პარტია გადაიდო პოზიციაში, სადაც მაჭავარიანს ორი ეტლი და ხუთი პაიკი აქვს, მეტოქის ეტლის, კუსა და ხუთი პაიკის წინააღმდეგ. ჯერჯერობით ანგარიშია 1,5:1,5.

◆ მეხიკო, 18 ოქტომბერი. „სპორტის საერთაშორისო კვირეულზე" თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა... მსოფლიოს ჩემპიონმა კლასიკურ ჭიდაობაში რ. რურუამ. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო კვირეულის ორგანიზატორებმა ბოლო მომენტში „კლასიკოსთა" ტურნირი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებით შეცვალეს. რ. რურუამ ახალი „როლი" კარგად შეითვისა, ხოლო მსოფლიოს მეორე ჩემპიონმა ომსკელმა ვ. იგუმენოვმა მას ბოლომდე ვერ აუღო ალღო და II საპრიზო ადგილით დაკმაყოფილდა. ველოსიპედისტთა ასპარეზობაში წარმატებით განაგრძობს ბრძოლას მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. ფხაკაძე. დღეს სპრინტერულ რბოლაში მას საუკეთესო შედეგი ჰქონდა — 11,6.

# ჩვენი ძმური რესპუბლიკებში

### ◆ რესპუბლიკის ფიზკულტურული ხუთწლედი

საბავშვო ბაღს ყოველივე სხვასთან ერთად სპორტული დარბაზი, მოედანი და საცურაო აუზიც სჭირდება. უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „ფიზკულტურული ხუთწლედის" შესახებ, ამიერიდან ამ რესპუბლიკაში საბავშვო ბაღები სწორედ ასე მოეწყობა.

გადაწყდა, ყოველ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორას დაენიშნოს ინსპექტორი, რომელსაც ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაცია ევალება. ყოველ ახალ მიკრორაიონში მოეწყობა საკუთარი სპორტმოედანი და საცურაო აუზი. მაგრამ, დადგენილებაში ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია ბავშვებთან მუშაობის საკითხზე. უახლოეს ორ-სამ წელიწადში რესპუბლიკის ყველა სკოლასა და სასწავლებელს საკუთარი სპორტული ბაზა და ბაქანი ექნება. უზბეკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტი მეტ ყურადღებას მიაქცევს ფიზკულტურის მასწავლებლების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. სამარყანდის უნივერსიტეტსა და ნამანგანის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნება ფიზიკური აღზრდის განყოფილებები. ტაშკენტისა და ბუხარის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთ ექნებათ მეორე პროფესიაც — ფიზკულტურის მასწავლებლისა. მხედველობიდან სულ პატარებიც არ გამორჩენიათ. გადაწყდა დედათა და ბავშვთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შეიქმნას უმცროსი და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარებისა და აღზრდის განყოფილება.

ე. ტაუბენშლაგი.

ტაშკენტი.

### საქვესი მოგვითხრობს

### ◆ მეტოქის მაგიერ... აპარატი

ორიგინალური აპარატი — რეპეტიტორი მოუმზადა მაგიდის ჩოგბურთელებს სვერდლოვსკის „ლოკომოტივის" მწვრთნელმა პ. შუვალოვმა. აპარატს მაგიდის კიდეზე ამაგრებენ, შიგ ცელულოიდის ბურთებს ჩაყრიან და მანქანა „იბრძვის" — წუთში 60 ბურთს ტყორცნის „მეტოქის" მხარეს.

შუვალოვის აპარატს უმაღლესი შეფასება მისცეს სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრების წევრებმა.

ვ. სტარიკოვი.

სვერდლოვსკი.



გასულ კვირას ჯვრის მონასტრის მიდამოებში გაიმართა ტურისტთა რესპუბლიკური შეკრება, რომელიც მოეწყო ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით. ამ სურათზე აღბეჭდილია შეკრების ერთ-ერთი მონაწილე, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის წევრი, 35-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ნ. ნადირაშვილი ცეცხლის დანთებისას.

ტურისტთა რესპუბლიკური შეკრების ანგარიში იხ. ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხმაურებიან თაოსნობას!





# ახალგაზრდული შრომის ნაყოფი

ვანელი ახალგაზრდები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურენ გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის ახალგაზრდა მშრომელთა თაოსნობას — საკუთარი ძალებით მოეწყოთ სპორტული ბაზები. ვანის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ყოველმხრივი მხარდაჭერითა და დახმარებით რაიონის ახალგაზრდობამ ფართოდ გაშალა შემოქმედებითი შრომა. ერთი წლის განმავლობაში იცვალა სახე მშრომელთა დასვენებისა და ჯანმრთელობის კერამ—კურორტმა სულორმა. გამწვანდა და დამშვენდა დაბა ვანი. მაგრამ რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის, მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეთა ყველაზე დიდი გამარჯვებაა დაბის ცენტრში კომპლექსური სტადიონის აგება. კეთილმოწყობილი ტრიბუნებით, შესანიშნავი სარბენი ბილიკითა და სხვა დამხმარე სპორტული ნაგებობებით. სულ ცოტა ხნის წინ კი ეს ადგილი მხოლოდ ჭაობი და ქვა-ღორღი იყო.

ვანელთა საქმიანობა ამით როდი ამოიწურა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის (დირექტორი ნ. აფხაზავა), გ. ტაბიძისა (გ. ძაგნიძე) და კიროვის სახელობის (მ. მესხი) საშუალო სკოლების მოსწავლეებს, ავტოსატრანსპორტო კანტორის, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, რაიკოოპერატივისა და დაბა ვანის კოოპერატივის, საკონსერვო ქარხნის, სალხინოს, დიხაშხოს, ისრითის, ციხესულორის საშუალო და რვაწლიანი სკოლების მუშა-მოსამსახურეებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას ახლა გადიდის მთაზე „პიონერთა ქალაქის“ მშენებლობაში შეაქვთ წვლილი. უკვე გაყვანილია გზა მთამდე. საფუძველი ჩაეყარა პიონერთა ბანაკისა და სპორტული მოედნების მშენებლობას. გადიდის მთა ახლო მომავალში ვანის რაიონის პიონერების, სპორტული ახალგაზრდობის წრთობისა და გაჯანსაღების კერად იქცევა.

სპორტი ვანელი ახალგაზრდების მეგობარია. ახალი კომპლექსური სტადიონის გახსნა და სხვა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა დიდად შეუწყობს ხელს რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას.

ზ. შველიძე,
დოცენტი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ვანის სტადიონის საზეიმო გახსნა; მარჯვნივ — ვანელ მოსწავლე-სპორტსმენთა ტანვარჯიშული გამოსვლა.
ფოტო ჯ. აბრამიძისა.

## მოტოციკლებით გმირთა ნაკვალევზე

გორელ სპორტსმენთა პირველი მოტოგადარბენა შორეული მარშრუტით ამ 10 წლის წინათ მოეწყო სპორტკავშირისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის თაოსნობით და მას შემდეგ ტრადიციად დამკვიდრდა. შარშანდელი გადარბენის მონაწილეებმა 4.810 კილომეტრი დაფარეს, — რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის გავლით ჩავიდნენ ყირიმში, დაათვალიერეს ანაპის 414-ე ქართული დივიზიის ბრძოლის ადგილები...

წლევანდელი მოტოგადარბენა კი ყველაზე საინტერესო იყო. სპორტსმენებმა გაიარეს ორჯონიკიძე, როსტოვი, ხარკოვი, კიევი, ოდესა, სიმფეროპოლი, სევასტოპოლი, ქერჩი, ნოვოროსიისკი, იალტა, სოჭი, სოხუმი — 6.200-კილომეტრიანი ტრასა. ეს ღონისძიება მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს და შოთა რუსთაველის იუბილეს.

გადარბენის მონაწილეებმა ხარკოვში, კიევსა და სევასტოპოლში ინახულეს და გვირგვინებით შეამკეს გმირთა საფლავები.

მოტოგადარბენაში მონაწილეობდა გორის ბამბეულის კომბინატის, სპორტსკოლისა და „სპარტაკის“ 12 სპორტსმენი, ამათგან ექვსმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

ი. თევდორაშვილი.
გორი. (ჩვენი კორ.).

# „თბილისის საბანებელნი“

სიამოვნებით გავეცანი ახალი საცურაო აუზის პროექტს, რომელიც გაზეთმა „ლელომ“ ამას წინათ გამოაქვეყნა. მას სულ ჩქარა შეესხმება ხორცი და თბილისელი ცურვის მოყვარულნი კიდევ ერთ ახალ საჩუქარს მიიღებენ. დავცქეროდი პროექტს და უნებლიედ გამახსენდა ჩემს მიერ მოპოვებული ზოგიერთი საგაზეთო მასალა, რომლითაც ნათლად ჩანს, როგორ მოითხოვდა გასული საუკუნის 60-80-ან წლებში თბილისის საზოგადოებრიობა თუნდაც ერთი წესიერი საბანაო ადგილის მოწყობას მტკვარზე და რა უყურადღებოდ ტოვებდნენ ამ თხოვნას თბილისის მესვეურები.

1879 წლის შუა ზაფხულში (15 ივლისს) გაზეთი „დროება“ შემდეგს წერდა: „წარმოიდგინეთ, ამისთანა სიცხეში ჩვენს ქალაქს ერთი ხეირიანი საბანებელი ადგილი არა აქვს! საზაფხულო თეატრის პირ-და-პირ გააკეთა ვიღაც სომეხმა შარშანწინ საბანებელი, მაგრამ ვინც იქ ყოფილა და ვისაც უბანია, იმას კარგად ეხსოდინება თუ რა სიამოვნებით შეიძლება ბანაობა. იქვე... წილები გამოდის, ყოველგვარი ნაგავი და საძაგლობა აყროლებულს წყალში დაცურავს, — წადი და იბანე იმისთანა წყალში! მართალია მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ანდრეევსკის სახლის მახლობლად, ვიღაც კადურინმა გამართა ახლა უფრო სუფთა საბანებელი, მაგრამ ერთობ შორს არის; სანამ იქ მიხვიდოდე შუა ქალაქიდან, ვთქვათ, და უკან დაბრუნდებოდე, შენი დაგემართება ამ სიცხეში. გასაკვირველია, რატომ ღვთის-ნიერი კაცი არ აღმოჩნდება ვინმე, რომ კარგ ალაგს გამართოს მტკვარზე ერთი ხეირიანი საბანებელი. მე გეტყვით თქვენ, ფულს ვერ მოიგებს...“

სოფელში წავიდეს და ჩრდილში მხართეძოზე წამოწვეს, რომელიც დილიდამ საღამომდინ მუშაობს ქალაქში, ოფლში იღვრება, რომელსაც არ შეუძლია ფული მისცეს და ცივ აბანოში იბანოს, „დუში“ მიიღოს და სხვ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თბილისის უმაღლესი ადმინისტრაცია ამ ღარიბ ხალხის შემავიწროებელს და შემაწუხებელს განკარგულებას პოლიციისას მიაქცევს ყურადღებასა და დროზედ მოსპობს ამ განკარგულებას“.

## წარსულის ფურცლები

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პოლიციამ, რომელიც საერთოდ კრძალავდა თბილისში ხალხურ თამაშებსა და ვარჯიშებს, არც მტკვარში მობანავეებს მოაკლო „ყურადღება“. „ამ სიცხეში, — წერდა გაზეთი „დროება“ ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1880 წლის 15 ივლისს, — როდესაც კაცს სული ეგუბება, როდესაც ყველაზე უფრო საჭიროა სუფთა, გრილი ჰაერი და ბანაობა, ერთსაც და მეორესაც უკრძალავენ ხალხს, რომელსაც არც იმდენი შეძლება აქვს, რომ

„დროებას“ მტკვარზე საბანაო ადგილების მოწყობა იმის გამოც მიაჩნდა საჭიროდ, რომ მდინარეში მალულად და უწესრიგოდ ბანაობას ხშირად მსხვერპლიც მოსდევდა. ამასთან დაკავშირებით, იონა მეუნარგია ასე მიმართავდა ქალაქის საბჭოს: „ამ წყალში დაღუპული ხალხის სულის სახელით, შეიბრალეთ ქალაქის მოსახლეობა, რომლის ფულს ათი ათასობით ხარჯავთ თქვენზე, გააკეთეთ მტკვრის ნაპირებზე რამდენიმე საბანავი და მოაწყვეთ ეს საბანავები ისე, რომ ეს ხალხი არ იღუპებოდეს. სამს ალაგს: თეატრის პირდაპირ, ჩუღურეთის გასწვრივ და ორთაჭალისკენ რომ გაკეთდეს საბანავი ადგილები და სხვაგან აეკრძალოს თბილისის მოსახლეობას ბანაობა, შეიძლება ამ უბედურ და ხშირ შემთხვევას რამე ეშველოს“.

გაზეთი მიმართავს ქალაქის გამგეობას, პოლიციას და „წყალში გაჭირვებულთა მშველელს საზოგადოებას“ გააქტიურონ მოქმედება და თვალყური მობანავეებზე. „იმედია, — წერს „დროება“,— თუ ეს სამივე დაწესებულება ერთგულად შეუდგება ამ საქმეს, უფრო იშვიათად წავიკითხავთ ადგილობრივ გაზეთებში დამხრჩვალთა სიას“.

სამწუხაროდ, ყველა ეს მოთხოვნა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ვფიქრობ, მიმიხვდებით, რად აღმიძრა ახალი საცურაო აუზის პროექტმა სურვილი — გამეცნო მკითხველისთვის 100 წლის წინათ მცხოვრებ თბილისელთა გულისტკივილი.

ა. ციბაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის გამოყენებითი სახეობების ფაკულტეტის დეკანი.

[illegible]

### გულრიფში

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა გულრიფშის რაიონის პირველობა ფეხბურთში მოსწავლეთა შორის გაზეთ „დროშის“ პრიზზე. ფინალში დრანდის პიონერთა სახლის გუნდმა მოუგო ბაბუშარის საშუალო სკოლის კოლექტივს (3:1) და დაეუფლა რაიონული გაზეთის პრიზს.

შ. ჯალალონია.





სურათებზე: მარცხნივ — ა. მეტრეველი ახალ ამპლუაში. მარჯვნივ — ჩემპიონი საუბრობს ნორჩ ჩოგბურთელებთან.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

## შენიშვნები ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის შესახებ

ალმა-ათაში ახლახან დამთავრდა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატი. სპორტის ამ სახეობის დიდ მცოდნეებს შეჯიბრების დაწყებამდე ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ქალთა ტურნირში გამარჯვებას მოიპოვებდა ან ანა დმიტრიევა, ან გალინა ბაკშეევა, ვაჟთა შორის კი ან თომას ლეიუსი, ან ალექსანდრე მეტრეველი. იმ 8 მწვრთნელიდან, რომელთაც მე საგანგებოდ გამოვკითხე აზრი, მხოლოდ ერთმა — ს. მირზამ თქვა, შეიძლება I ადგილზე ვიაჩესლავ ეგოროვი აღმოჩნდესო. ეს პროგნოზი ერთგვარი სიფრთხილით იყო გამოთქმული, მაგრამ მირზას მაინც მოუხდა მწყრალი შენიშვნების მოსმენა, — სურვილი ერთია და სინამდვილე მეორეო.

როგორც ცნობილია, ჩემპიონობა სწორედ ბაკშეევამ და მეტრეველმა მოიპოვეს. მაგრამ პროგნოზთა ავტორებს მაინც ვერ მივულოცავთ, ვინაიდან ფავორიტთა მეორე წყვილს, ყველას გასაოცრად, გადამწყვეტ შეხვედრებში მონაწილეობა არ მიუღია: დმიტრიევა პირველობისთვის ბრძოლას ჯერ კიდევ მერვედფინალში გამოეთიშა, ლეიუსი კი — ნახევარფინალში.

მაშ ასე, საჩოგბურთო ოლიმპზე გუშაგის შეცვლა მოხდა. დამთავრდა დიდი ხნის ბატონობა დმიტრიევასა და ლეიუსისა, რომლებმაც ამ ბოლო წლებში არ იცოდნენ რა არის მარცხი სსრ კავშირის ჩემპიონატებში. ბაკშეევამ და მეტრეველმა პირველად, მაგრამ, ალბათ, მტკიცედ, დიდი ხნით შედგეს ფეხი უმაღლეს საფეხურზე.

ზოგი, ალბათ, ჩვენი მოსაზრების მხოლოდ პირველ ნაწილს ჩათვლის უდავოდ და თავისებურად მართალიც იქნება: სპორტი სპორტია, და თეორიულად გამორიცხული როდია, რომ გასად ბაკშეევამ, ან მეტრეველმა, ან შეიძლება ორივემ დათმოს თავისი ტიტული. მაგრამ პრაქტიკულად ეს მეტად საეჭვოა.

საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ბაკშეევამ, ასე ვთქვათ, ულაპარაკოდ გაიმარჯვა (კორტებზე მეტრეველიც ბატონობდა, თუმცა, მის თამაშში აშკარად იგრძნობოდა დაღლილობა). ორივე ახალი ჩემპიონი ტალანტით გაცილებით მაღლა დგას ჩვენი ქვეყნის სხვა ჩოგბურთელებზე და მათი ტრიუმფი საკავშირო ჩემპიონატში მხოლოდ დროს უცდიდა.

ბაკშეევას მომავალი სპორტული გზა თავდაპირველად შეიძლება მთლად ნათელი არც იყო. ტალანტი ტალანტად, მაგრამ ჩოგბურთი ისეთი „გაუმაძღარი“, იმდენად მომთხოვნი სპორტია, რომ მას განსაკუთრებული ოსტატობა, ამტანობა, ტაქტიკური გამომგონებლობა, ამასთან, რასაკვირველია, ვაჟკაცობა, სულისა და ხასიათის სიმტკიცე სჭირდება. ერთი სიტყვით, იგი მოითხოვს ადამიანს მთელის არსებით.

ბაკშეევას კი დღესაც ასეთი მრავალმხრივი გამოცდა არ დაუჭერია. აგერ უკვე მეექვსე ჩემპიონატია, ვადევნებ თვალს და ვხედავ, — იგი მუდამ აოცებდა ყველას ნიჭიერებით, ეფექტური და უაღრესად თანამედროვე თამაშით. მისი ტექნიკისა შეშურდებოდა (და, ალბათ, შურს კიდეც!) უცხოეთის ბევრ უძლიერეს ჩოგბურთელს. და მაინც, აქამდე ბაკშეევას არ ჰყოფნიდა ხასიათის სიმტკიცე, რათა მთელი სისრულით გამოეჩინა თავისი უნარი. მას არ შესწევდა ძალა უკომპრომისოდ ებრძოლა პირველიდან ბოლო ქულამდე, ემოძრავა საჭირო სისწრაფითა და დაუღლელად. მაპატიეთ ასეთი შედარება: კორტზე იგი ხან ტალანტის ფრთებით ფრინავდა, ხან კი უეცრად თითქოს საჰაერო ორმოში ვარდებოდა. ბაკშეევა ბევრ ასპარეზობაში მინახავს ხან მოთენთილი, ხან დედოფლურად გაზარმაცებული, ხან ფლეგმატური, ხან ჟინიანი, მაგრამ მას იშვიათად თუ გამოუჩენია ნამდვილი სპორტსმენის თვისებები, იშვიათად თუ მოუკრებია მთელი ყურადღება.

შარშანდელ ჩემპიონატში, რომელიც ხარკოვს გაიმართა, დმიტრიევა არ გამოსულა და ბაკშეევას გამარჯვების რეალური შესაძლებლობა ჰქონდა. ფინალში იგი უნდა შეხვედროდა შედარებით სუსტ მეტოქეს, ტიიუ სიმსონს (მაშინ სოომეს). ორთაბრძოლა ჯერ კიდევ კორტზე გამოსვლამდე დაიწყო. ბაკშეევა ჩოგბურთის სტადიონზე მაშინ გამოჩნდა, შეხვედრის დაწყებას 18 წუთი რომ აკლდა. ამასობაში მისმა მეტოქემ ნახევარსაათიანი ინტენსიური ვარჯიში მოასწრო. განა გასაკვირია, რომ ბაკშეევამ ზედიზედ ორი სეტი წააგო?

მაგრამ ალმა-ათაში ვიხილეთ სულ სხვა ბაკშეევა, საბოლოოდ დაღვინებული სპორტსმენი, რომელსაც არა მარტო სურდა, არამედ შეეძლო კიდეც გამარჯვება. მძიმე სიტუაციაშიც კი

# ცვლილებები საჩოგბურთო

# გლდანში უკრავდა ზურნა

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა გლდანის საჭიდაო დარბაზში. ჩემპიონატი საინტერესო იყო იმით, რომ მასში მონაწილეობა მიიღეს როგორც გამოცდილმა გუნდებმა, ისე ასეთ დიდ შეჯიბრებებში გამოუცდელმა მესტიის ნაკრებმა. კარგად ორგანიზებულ ტურნირს ჩრდილი მიაყენა მხოლოდ ორჯონიკიძის რაიონის ფალავანთა ჩამოუსვლელობამ, რაც, უდავოდ, ამ რაიონის სპორტის მესვეურთა უპასუხისმგებლობის შედეგია.

რამდენიმე სიტყვა მესტიის გუნდზე, რომელმაც ყველა წონაში თანაბრად მომზადებული, ძლიერი მოჭიდავეები წარმოადგინა. მესტიელებმა ტურნირში III საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. დასაწყისისთვის ეს უთუოდ კარგი მაჩვენებელია, მაგრამ გვწამს, რომ ახალბედების ენთუზიაზმი და მონდომება სულ მალე უკეთეს ნაყოფს გამოიღებს.

გუნდური პირველობისთვის უმთავრესად გარდაბნისა და კასპის გამოცდილი კოლექტივები იბრძოდნენ. საინტერესო დავა გარდაბნელთა სასარგებლოდ გადაწყდა: მათ 3 ქულით ჩამოიტოვეს კასპელი ფალავნები. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს საგარეჯოელმა მოჭიდავეებმაც, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და აჭარის გუნდებზე.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩემპიონატის მთავარი პრიზი — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ გარდამავალი თასი გარდაბნის მოჭიდავეებმა მიიღეს. დაწესებული იყო, აგრეთვე, რამდენიმე სპეციალური პრიზი, რომლებიც ერგოთ: გარდაბნელ ჯ. ქობულაშვილს (ტექნიკური ჭიდაობისთვის), კასპელ გ. ბალხამიშვილს (ყველაზე მეტი წმინდა გამარჯვებისთვის) და მესტიელ ი. ჩხეტიანს (ყველაზე პერსპექტიულ მოჭიდავეს).

**ნ. ახვლედიანი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

მოგვყავს ჩემპიონატის პრიზიორთა სამეულები:

**უმჩატესი წონა.** 1. შ. შაქარაშვილი (კასპი), 2. რ. ნარიმანიძე (გარდაბანი), 3. ს. ჩინორიძე (სამხრეთ ოსეთი).

**მჩატე.** 1. ჯ. ჯანანაშვილი (კასპი), 2. გ. გობეჯიშვილი (აფხაზეთი), 3. ჯ. ვიბლიანი (მესტია).

**ქვემსუბუქი.** 1. შ. ბიბილაშვილი (გარდაბანი), 2. ჯ. ხორბალაძე (კასპი), 3. ი. ჩხეტიანი (მესტია).

**მსუბუქი.** 1. გ. სიმონიშვილი (გარდაბანი), 2. დ. უშხვანი (მესტია), 3. თ. ჩხაპელია (აფხაზეთი).

**ქვესაშუალო.** 1. გ. ბალხამიშვილი (კასპი), 2. ს. ალექსაშვილი (საგარეჯო), 3. გ. მონასელიძე (აფხაზეთი).

**საშუალო.** 1. ი. ანსიანი (მესტია), 2. ბ. ელერდაშვილი (საგარეჯო), 3. ტ. ხადური (კასპი).

**ქვემძიმე.** 1. ვ. ფეტვიაშვილი (გარდაბანი), 2. დ. რევაზიშვილი (საგარეჯო), 3. გ. ნოზაძე (ხაშური).

**მძიმე.** 1. ჯ. ქობულაშვილი (გარდაბანი), 2. ა. მალაციძე (კასპი), 3. ს. ზუკაკიშვილი (საგარეჯო).

# თითო ბურთის სხვაობით

ახლახან ბათუმში გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა ხელბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, სამტრედიის, ლანჩხუთისა და წითელწყაროს ნაკრები გუნდები.

ფინალში ბრძოლის უფლება ჭაბუკებში თბილისისა და ქუთაისის სპორტსმენებმა მოიპოვეს. გაიმარჯვეს ქუთაისელებმა (19:18) და I ადგილიც მათ დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისისა და ბათუმის ხელბურთელები.

საინტერესოდ წარიმართა თბილისისა და ბათუმის გოგონათა გუნდების ფინალური შეხვედრა. მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 7:7. შესვენების შემდეგ მოედანზე კვლავ შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა. მხოლოდ ბოლო წამებში შეძლეს თბილისელებმა გადამწყვეტი ბურთის გატანა და გაიმარჯვეს ანგარიშით 17:16. III ადგილზეა ქუთაისის გუნდი.

**ო. მურვანიძე.**
**(ჩვენი კორ.).**

ბათუმი.



**გასულ კვირას თბილისის იპოდრომზე გაიმართა ასპარეზობა დოღში. ამ სურათზე აღბეჭდილია 1.400 და 2.000 მეტრზე დოღში გამარჯვებული სპორტსმენი (№3) ვ. სუხოვი.**

ფოტო თბილისის მე-10 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე **ა. გურასაშვილისა.**

# ჩემპიონატი და ჩემპიონები მწვრთნელის თვალით

**ალმა-ათასა და ნოვოსიბირსკში წარმატებით გამოსვლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდნენ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მოჭიდავეები, რომლებმაც სეზონის მიწურული სასახელო გამარჯვებით აღნიშნეს. „ლელოს“ კორესპონდენტი ნ. გუგუშვილი ესაუბრა რესპუბლიკის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელს, წარსულში სახელმოხვეჭილ ფალავანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. ბალავაძეს. აი, ეს საუბარი:**

ყოველი საკავშირო ჩემპიონატი აჯამებს იმ მუშაობას, რასაც რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელები, სპორტული ორგანიზაციები და თვით მოჭიდავეები ატარებენ წლის განმავლობაში. დღეს, როცა დამთავრდა ჩვენი ყველაზე მძიმე და საპატიო გამოცდა, გულახდილად, გაუზვიადებლად და დაუტრაბახებლად შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს ათლეტებმა იგი ბრწყინვალედ ჩააბარეს.

მივმართოთ ფაქტებს, ვინაიდან უმათოდ ჩვენი მტკიცება ზოგიერთს შეიძლება საფუძველს მოკლებულად მოეჩვენოს. ოქროს 4 და ბრინჯაოს 1 მედალი, ერთი IV ადგილი (ს. ქარსაულიძისა).

როგორია ამ ნადავლის არითმეტიკული გამოხატულება, რომლის ჯამი ქმნის არაოფიციალური გუნდური ჩათვლის საერთო სურათს? აღიარებული ფორმულის მიხედვით, სადაც I ადგილი 7 ქულას იძლევა, II — ხუთს და ა. შ., საქართველოს მოჭიდავეებმა ჩემპიონატში 35 ქულა დაიმსახურეს, — შვიდით მეტი, ვიდრე უკრაინამ და მთელი 13 ქულით მეტი, ვიდრე რუსეთის ფედერაციამ. სხვაგვარად, აღნიშნული ჩემპიონატი რომ პირად-გუნდური ყოფილიყო, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები უყოყმანოდ მოიპოვებდა ჩემპიონობას. დამეთანხმებით, ამ ფაქტს კომენტარი აღარ სჭირდება.

ალმა-ათისა და ნოვოსიბირსკის ჩემპიონატს, სხვა ადრინდელი პირველობებისგან განსხვავებით, ზოგადსაკავშირო მნიშვნელობაც ჰქონდა. კერძოდ, არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ დღეს ყველა ქვეყნის სპორტსმენები და მოწინავე საბჭოთა ათლეტებიც მომავალი ოლიმპიადის ცხოვრებით ცხოვრობენ. მაგრამ ოლიმპიადაც არის და ოლიმპიადაც. XIX, რომელსაც მაღალმთიანი მეხიკო მასპინძლობს, სწორედ ამ უჩვეულო სპეციფიკის გამო, დამატებით სირთულეებს წარმოქმნის და ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ზღვის დონიდან 2000-მეტრიანმა სიმაღლემ ისეთი პრობლემები წარმოშვა, რაზეც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები ადრე არ ფიქრობდნენ. ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, მეხიკოში კი ყველას ერთნაირად გაუჭირდება (ზოგიერთი მთიანი ქვეყნის სპორტსმენთა გარდა). ამიტომ საერთაშორისო ჭიდაობის მესვეურებმა მომავალი ოლიმპიადის მონაწილეებს ერთგვარად შეუმსუბუქეს ეს გასაჭირი. ჩემი აზრით, სწორედ ესაა იმ „განახლების“ მიზეზი, რაც ჭიდაობის მამაპაპურმა ფორმულამ განიცადა. 3 სამწუთიანი რაუნდი, ორი ტაიმაუტით, მართლაც, შეღავათი იქნება მათთვის, ვინც ასეთ დიდ სიმაღლეზე ტურისტადაც კი არ ყოფილა.

ახალი ფორმულის შესახებ ათასგვარი, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი არსებობს. მეც მაქვს ჩემი საკუთარი, შესაძლოა ათას მეერთე პოზიცია, მაგრამ ამჯერად, მისი გაცნობით თავს არ შეგაწყენთ. ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ თუ იგი საბოლოოდ დამკვიდრდა, ჭიდაობის ტაქტიკაში ბევრი რამ შესაცვლელი იქნება. ახალმა ფორმულამ პირველი გამოცდა საკავშირო ჩემპიონატში გაიარა. ჩვენს უძლიერეს მოჭიდავეებს (მხედველობაში მყავს სსრ კავშირის ნაკრები) ოლიმპიადამდე ელით კიდევ ერთი საპასუხისმგებლო შეხვედრა თურქეთში, შემდეგ (უკვე გაისად) — თბილისის საერთაშორისო ტურნირი, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა და ა. შ. ასე რომ, მეხიკომდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ფორმულის ავკარგიანობა ბევრჯერ შემოწმდება. მით უმეტეს, რომ ამ სიახლის პოზიტიური და ნეგატიური მხარეებით სხვა ქვეყნებშიც არიან დაინტერესებული.

ჩვენ კი დავუბრუნდეთ ჩვენს „მიწიერ“ საქმეებს და მოკლედ მოვუთხროთ მკითხველს, რა მოხდა ალმა-ათასა და ნოვოსიბირსკში. მივყვეთ ჩემპიონატს წონითი კატეგორიების მიხედვით. თუმცა, წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ საამისოდ დიდი გეოგრაფიული ნახტომები დაგვჭირდება (ალმა-ათაში, სადაც მე გახლდით, ასპარეზობდნენ ნახევარწონები, ნოვოსიბირსკში კი, რომლის ამბებს კოლეგების მონაყოლით გადმოგცემთ, პირველობას სრული წონების წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს).

უმჩატეს წონაში გამოდიოდნენ სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ტ. ალიბეგაშვილი და ამ ტიტულის ძველი მაძიებელი ზ. შეყრილაძე. ალიბეგაშვილი ოქროს მედლისთვის ბრძოლას III წრიდან გამოეთიშა ავადმყოფობის გამო. დარჩა შეყრილაძე, რომელსაც ოქროს ბრჭყვიალი არასდროს უგრძვნია ისე ახლო, როგორც წლეულს. ტაქტიკურად იგი წინა წლებშიც მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ფიზიკური მომზადების მხრივ კი ყველაფერი რიგზე როდი ჰქონდა. ამ ნაკლის ობიექტური მიზეზი (იგი, როგორც წესი, მუდამ იკლებდა წონას) შეყრილაძისთვის ვერაფერი ნუგეში იყო, ვინაიდან ოქროს მედალს მუდამ აშორებდა უკმარი ფიზიკური მომზადება. ალმა-ათაში ჩვენ სულ სხვა შეყრილაძე ვიხილეთ: ფიზიკურად ძლიერი, დაუღალავი და... ძველებურად ეშმაკი.

მახაჩყალელი ა. ალიევი თავის წონაში ნამდვილი ფენომენია. იგი მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა იდგა და ჩემპიონობასაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხუმრობით მიაღწია. ჩვენს რესპუბლიკას მჩატე წონაში წარმომადგენელი არ ჰყავდა. სამაგიეროდ, ქვემსუბუქ წონაში ბრძოლა მძაფრიც იყო და დრამატულიც. თქვენ უკვე იცით, რომ ამ წონაში ოქროს მედალი ალიევის თანაქალაქელმა ზ. აბდულბეკოვმა დაისაკუთრა, მაგრამ არ იცით, რომ შარშანდელი ჩემპიონი ს. ქარსაულიძე IV ადგილზე გავიდა.

თქმა არ უნდა, აბდულბეკოვი ნიჭიერი, პერსპექტიული ათლეტია. ისიც უდავოა, რომ მან ალმა-ათაში მებრძოლის კარგი თვისებები გამოამჟღავნა. მაგრამ ზოგიერთმა ჟურნალისტმა (შესაძლოა, სპეციალისტმაც), ჩემი აზრით, ახალი ჩემპიონის შესაძლებლობები გადაჭარბებით შეაფასა. აბდულბეკოვი პირველთანრიგოსანი ათლეტია და ჩემპიონის მაისურშიც პირველთანრიგოსნად დარჩა. ჩემი აზრით, სენსაციურია მისი გამარჯვება, როგორც ფაქტი, თორემ ჩემპიონის მარცხი ქარსაულიძესთან (ქულათა შეფარდებით 4:13) სავსებით ლოგიკური და კანონზომიერი იყო.

სხვათა შორის, მსაჯებს რომ ქართველი ათლეტის მიმართ ზომაზე მეტი სიმკაცრე არ გამოეჩინათ, ვინ იცის ამ წონაში ბრძოლის ბედი საბოლოოდ როგორ გადაწყდებოდა. უკრაინელ შ. ტუგანოვთან შეხვედრა ქარსაულიძემ ფრედ დაამთავრა. არ ვიცი რა მოეჩვენათ გამოცდილ მსაჯებს გიოევსა (ორჯონიკიძე) და კარაპეტიანს (მახაჩყალა!), მაგრამ გამარჯვებას ტუგანოვი სწორედ მათ უნდა უმადლოდეს.

ამბობენ, მსუბუქ წონაში ბურთი და მოედანი ვეტერანებმა იგდეს ხელთო და მაგალითად მოჰყავთ 29 წლის ლენინგრადელი ი. ტინკოვი, რომელმაც ამ ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. მერედა რა არის იმაში ცუდი, თუ ვეტერანი ნამდვილად ჯობს ახალგაზრდებს? ვისზე ნაკლები იყო 40 წელს გადაბიჯებული ა. მეკოკიშვილი 1956 წელს, როცა ტურნირში მსოფლიოს თასზე II ადგილი მოიპოვა, ხოლო სსრ კავშირის I სპარტაკიადაზე — ჩემპიონის ტიტული? ან, განა სამართლიანი იყო იმავე მეკოკიშვილის უგულებელყოფა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში? რა გამოვიდა ამით: მეკოკიშვილი ოლიმპიადის მიღმა დარჩა, ხოლო ჩვენმა ნაკრებმა ჭიდაობის ისტორიაში პირველად დაკარგა საპრიზო ადგილი მძიმე წონაში.

ვეტერანის გამარჯვება, თუ კი იგი უძლიერესია, ისეთივე სასახელოა, როგორც ახალგაზრდისა. პირადად მე საგანგაშოს ამაში ვერაფერს ვხედავ. რაც შეეხება მეორე ვეტერანს, სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონს მსუბუქ წონაში ზ. ბერიაშვილს, იგი ამ ტურნირშიც მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე.

ყველა მოჭიდავეს, რაგინდ სახელოვანიც უნდა იყოს, ერთი ან ორი, ე. წ. „ძნელი“ მეტოქე ჰყავს. ქვესაშუალო წონის აღიარებული ლიდერისთვის გ. საღარაძისთვის ასეთი მეტოქე მახაჩყალელი ი. შახმურადოვი იყო. ქვესაშუალო წონის ათლეტებს განსაკუთრებით კარგად ვიცნობ, ამიტომ მერწმუნეთ, რომ იგივეს იტყოდა გურამზე ჩემი ყოფილი მეტოქე და „მემკვიდრე“ მ. ბეკმურზოვი. ამ შემთხვევაში, სხვათა შორის, იმდენი მნიშვნელობა სპორტულ მონაცემებს არა აქვს, რამდენიც ფსიქოლოგიურ ფაქტორს.

საღარაძე ალმა-ათაში სწორედ რომ შეუდარებელი იყო. ასეთი ყურადღებად ქცეული, შემართული და ამავე დროს ლაღი გურამი კარგა ხანია არ მინახავს. I ადგილი მან მოიგო იოლად, ძალდაუტანებლად და, რაც მთავარია, ყოველგვარი ფსიქოლოგიური მუხრუჭების გარეშე. ასეთი იყო მისი პირველი ბრძოლა, ასეთი იყო მისი ბოლო გამოსვლა, რომელშიც ჩემპიონმა აშკარად დაჯაბნა (6:2) „ძნელი მეტოქე“.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ახალგაზრდა, მზარდ და პერსპექტიულ ათლეტს ა. ცხოვრებოვს ბედი არ წყალობს. კაცმა რომ თქვას, საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი სხვებისთვის სანატრელია, მაგრამ ცხოვრებოვი უკვე მომწიფდა უფრო დიდი, „საგმირო საქმეებისთვის“.

ცხოვრებოვმა ამ ჩემპიონატში ყველაზე მეტი შეხვედრა ჩაატარა (7). მაგრამ იგი ისეთი ფიზიკური ღირსებებით არის დაჯილდოებული, უფრო დიდ დატვირთვასაც გაუძლებს. მისი უბედობა კი ის გახლავთ, რომ იგი შეხვდა თავისი წონის ყველა ფავორიტს — სსრ კავშირის სამ ჩემპიონს: უკრაინელ ბ. გურევიჩს, ლენინგრადელ ა. ალბულს და მინსკელ ვ. ლეტუნს, აგრეთვე, ფიზიკურად ძლიერ და პერსპექტიულ მედვედს, სახელგანთქმული ალექსანდრე მედვედის უმცროს ძმას. ორ მათგანს ცხოვრებოვმა მოუგო (მედვედსა და ლეტუნს), ალბულთან მწვავე ბრძოლა ფრედ დაამთავრა, გურევიჩთან კი წააგო (1:2).

თბილისელ შოთა ლომიძეს ქვემძიმე წონაში ბადალი არ ჰყავს. მისი უპირატესობა მეტოქეებზე იმდენად ცხადი იყო, რომ ოქროს მედლის ბედი ეჭვს არ იწვევდა. ლომიძემ, ამ დიდი ფიზიკური ძალისა და მაღალი ტექნიკის ათლეტმა, ტურნირი მხოლოდ 2 საჯარიმო ქულით დაამთავრა.

რაც შეეხება მძიმე წონას, მას შემდეგ, რაც მთავარი ფავორიტები ა. მედვედი (მინსკი) და ა. ივანიცკი (მოსკოვი) მშვიდობიანად „მორიგდნენ“, ლიდერთა შორის გაჩაღდა „დაუსწრებელი“ ბრძოლა, თუ ვინ უფრო ადრე დასცემდა მეტოქეს. ეს შეჯიბრება მოიგო მედვედმა, რომელმაც მოიპოვა კიდევ ოქროს მედალი.

# ოლიმპზე

იგი იშვიათი გულგრილობით ამწვავებდა თამაშს და მისი მეტოქენი უაღრესად დაძაბულ ბრძოლას ვეღარ უძლებდნენ. ბაკშეევა ამჯერად ე. წ. შავ სამუშაოსაც არ ერიდებოდა და დაუღალავად დარბოდა კორტზე ყოველი ბურთის მისაღებად.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ძველი სენი კვლავ აღარასოდეს იჩენს თავს? რასაკვირველია, არა. მაგრამ თუ კი როდისმე მოხდება, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევა. ბაკშეევა ისეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნის, რომლებთანაც დაყვავება უფრო ჭრის, ვინემ საყვედური. ოქროს 3 მედალი კი — სამივე თანრიგში — ისეთი დაყვავებაა, რომელმაც, ჩემი რწმენით, ნიჭიერ სპორტსმენზე ყველაზე სასიკეთოდ უნდა იმოქმედოს.

იყო დრო, რომ მეტრეველი ვერ ახერხებდა თავისი ტემპერამენტის დაოკებას, ვერც მოზღვავებულ გრძნობებს სდებდა ლაგამს. ამას კი, როგორც წესი, ჩოგბურთი არავის მიუტევებს. თუ მართალი გნებავთ, მეტრეველი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა სავსებით, როგორც რაციონალურად მოაზროვნე ჩოგბურთელი. მაგრამ მისი დიდი წინსვლა უდავოა. სწორედ ხასიათის სიმწიფემ მისცა ქართველ ჩოგბურთელს საშუალება გადაედგა ბოლო ნაბიჯი იმ მიზნისკენ, რომელიც მას გამუდმებით იხმობდა.

განვლილ ჩემპიონატში მეტრეველის თამაშს აკლდა ამ სპორტსმენისთვის დამახასიათებელი ფერები — სითამამე, განსაკუთრებული ლაზათი და იმპროვიზაციული ოსტატობა. როგორც თავად ამბობს, ეს იმით აიხსნება, რომ წლეულს მან ძალიან ბევრ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და გადაიღალა. მიუხედავად ამისა, მეტრეველს მაინც ეყო ძალა და მონდომება ფინალში გაეტეხა შესანიშნავად მოთამაშის ვ. ევროოვის წინააღმდეგობა (როგორც ხედავთ, ს. მირზა არც თუ ძალიან შემცდარა!).

დმიტრიევასა და ლეიუსს რაღა მოუვიდათ? რით უნდა აიხსნას, რომ ისინი ფინალური ბრძოლების დროს მხოლოდ მაყურებელთა როლში იყვნენ?

დმიტრიევამ, როგორც ცნობილია, შარშან ტაიმ-აუტი აიღო. მართლაც გასაკვირია, რომ ჩვილის დედამ ასე სწრაფად შეძლო კორტზე დაბრუნება. და მაინც, სასწაულები არ ხდება. დიდი შესვენების შემდეგ, როგორც წესი, ფორმაში თანდათანობით უნდა შეხვიდე.

აღდგენილი კონდიციები საკმარისი აღმოჩნდა, რომ დმიტრიევა ჯერ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის ფინალში მოხვედრილიყო, ხოლო შემდეგ იუგოსლავიის ღია ჩემპიონატში გაემარჯვა. მაგრამ საკავშირო პირველობაში ბრძოლისას მას უკვე ძალა არ ეყო.

— გადამწყვეტ მომენტში ვერ შევძელი ისე თამაში, როგორც ამას შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა, — მითხრა დმიტრიევამ რენა აბჟანდაძესთან წაგების შემდეგ. — რისკი რომ უნდა გამეწია, შიში მიპყრობდა, ბურთის გათამაშება რომ იყო საჭირო, მაშინ კი ანგარიშმიუცემლად თამამად ვთამაშობდი. მე ჯერ კიდევ არა ვარ მზად I ადგილისთვის საბრძოლველად და მერყეობაც ამის შედეგია.

ლეიუსის საქმე, ჩემი აზრით, უფრო რთულია. მას ძალიან უნდოდა ტიტულის შენარჩუნება, ძალიან უნდოდა დაემტკიცებინა, რომ საერთაშორისო კორტებზე წარმატების მიუხედავად, მეტრეველი ჯერ კიდევ არ არის საბჭოთა ჩოგბურთის № 1 ფავორიტი. ვფიქრობ, მის თამაშსა და შედეგებზე სწორედ ამ მონდომებამ იმოქმედა იმ დღეს, ალმა-ათაში რომ კოკისპირულად წვიმდა, ლეიუსი მგონი ერთადერთი ვარჯიშობდა დახურულ დარბაზში და როგორც იტყვიან, „გადაიწვა“.

ლეიუსის თამაშს კვლავინდებურად აკლია სიმძლავრე. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, მისი იერიშები ერთფეროვანია. ლეიუსი ქულებს თითქმის მხოლოდ ბადესთან იგებს. ბადესთან თამაში ცუდი როდია, პირიქით, იგი მაღალი კლასის თანამედროვე ჩოგბურთელის აუცილებელი იარაღია. მაგრამ თუ ამასთან ერთად უკანა ხაზიდან მძლავრ გამიზნულ დარტყმასაც არ ფლობ, დიდ წარმატებას ვერ მოიპოვებ. ლეიუსს ეს კარგად ესმის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განთქმული შრომისმოყვარეობა დაეხმარება და იგი ამ ნაკლს იოლად დაძლევს.

**ვ. ვასილიევი.**

# ტრადიცია არ ირღვევა

მეხიკო, 17 ოქტომბერი. „სპორტის II საერთაშორისო კვირეულზე“ სულ ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები. მათ უკვე მოიპოვეს ოქროს 12, ვერცხლის 11 და ბრინჯაოს 8 მედალი.

წლევანდელ ივლისამდე მინსკელ მოფარიკავე ა. ნიკანჩიკოვს არავინ იცნობდა, მაგრამ მოსკოვის სპორტის სასახლეში მსოფლიოს უძლიერეს მოფარიკავეთა ფორუმზე მან I ადგილი დაიკავა და დაშნით ასპარეზობაში ოქროს დიდი მედალი დაიმსახურა. ნიკანჩიკოვი მეხიკოშიც უძლიერესი იყო. იგი შვიდჯერ გავიდა სარბიელზე და შვიდჯერვე გაიმარჯვა.

მექსიკის ჰავა, როგორც ჩანს, კარგად მოქმედებს მსოფლიოს ჩემპიონებზე. შეუპოვარი ბრძოლის მიუხედავად, უმაღლეს ტიტულს ისინი არ თმობენ. მაგალითად, ა. შაპარენკომ (სსრ კავშირი) ერთადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში დაამტკიცა, რომ ღირსეულად ატარებს მსოფლიო ჩემპიონის სახელს.

იგივე შეიძლება ითქვას ჩეხოსლოვაკიელ ვ. ჩასლავსკაზე. მთელი ტანვარჯიშული სამყარო მოუთმენლად მოელოდა ჩასლავსკასა და ნ. კუჩინსკაიას შეწყვეტილი დავის განახლებას: ჩასლავსკამ მრავალჭიდში I ადგილი დაისაკუთრა, მაგრამ წინ იყო შეჯიბრება ცალკეულ იარაღებზე. მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა დორტმუნდში დამარცხების რევანში აიღო და ოთხივე იარაღიდან „ოქრო მოკრიფა“. კუჩინსკაია ვერცხლის 4 მედალს დასჯერდა.

მოსკოველმა სპორტსმენებმა მ. საფონოვმა და ნ. კუზნეცოვამ ამერიკელ და მექსიკელ წყალში მხტომელებთან ძნელ ბრძოლაში I ადგილები დაისაკუთრეს. კოშკიდან ხტომაში მათ ტოლი არ ჰყავდათ.

ხმლით ფარიკაობაში ოქროს მედალი პოლონელმა ტ. პეკამ მოიპოვა. II ადგილი წილად ხვდა ე. ვინოკუროვს (სსრ კავშირი), ხოლო III — ე. პავლოვსკის (პოლონეთი).



# ალბერტი ტაიმ-აუტში

— პროვინციიდან გახლავართ, — ამბობს ფლორიან ალბერტი. — თუ იცით ასეთი ადგილი — ჰერკეგსანტუ? ბავშვობაში ძალიან ცოტა მეძინა: დილაადრიან რომ ავდგებოდი, შუაღამემდე ფეხბურთს ვთამაშობდი. ხშირად ჩვრის ბურთით. როცა პატარა რეზინის ბურთს ვშოულობდით, მიგვაჩნდა, რომ ზღაპრულად გაგვიღიმა ბედმა. რა ბრძანეთ — ის ფეხბურთი არ იყო? რა ვიცი, გეთაყვათ, ყოველ შემთხვევაში, როცა ჩვენი ოჯახი 1942 წელს საცხოვრებლად ბუდაპეშტში გადავიდა, მე, როგორც ახლა მგონია, ფეხბურთში ცოტა რამ უკვე გამეგებოდა.

... ჩვენ ბუდაპეშტის სასტუმრო „პალასის“ ჰოლში ვსაუბრობთ. აქ, ფარდებჩამოფარებულ, ოდნავ განათებულ შენობაში, ღიაყავისფერ კოსტუმში გამოწყობილი ჰალსტუხიანი ალბერტი სულაც არ გავს იმ გამოჩენილ თავდამსხმელს, რომელიც ნახევარი საათის წინ ვნახეთ ფეხბურთის მინდორზე. ჰოლანდიაში გამგზავრების წინ ევროპის ჩემპიონატის მატჩის სათამაშოდ უნგრეთის ეროვნულმა ნაკრებმა საწვრთნელი თამაში ჩაატარა ბუდაპეშტის „ვაშაშთან“. საწვრთნელი, მაგრამ ეჭვი არავის შეეპაროს, — ყველანი მთელი ძალით თამაშობდნენ, ხოლო როცა ბენე და ფარკაში მთელი ძალით თამაშობენ, როცა ფლორიან ალბერტი ცდილობს აჩვენოს ყველაფერი, რაც იცის, მაშინ, მართლაც რომ ბევრია საყურებელი.

მინდორზე იგი წონწოლასა ჰგავს და სანამ ბურთი ჩაუვარდება, თითქოს მოუხერხებლად გრძნობს თავს. მერე კი პირდაპირ რაღაც გაუგებარი იწყება! ალბერტი თითქოს არაფერს აკეთებს. აქ არც ბრწყინვალე ფინტების სერიაა, არც თვალსაჩინო ცრუ მოძრაობებია, მაგრამ ბურთი მის ფეხს არ ცილდება, მცველები კი ერთიმეორეზე მის ზურგს უკან რჩებიან. ამ ფეხბურთელის ოსტატობას ვერ დაანაწილებ, მაგრამ სხვანაირად რომ ყოფილიყო, მისი თამაშის კლასი, ალბათ, არც ასე მაღალი იქნებოდა.

ფლორიან ალბერტი 25 წლისაა. უნგრეთის ნაკრებში 7 წლის წინ გამოჩნდა და მისმა დებიუტმა მაყურებლების ტაში ჩაიარა. მას შემდეგ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 57 მატჩი ჩაატარა. სხვანაირად რომ ითქვას, ნაკრები არც ერთხელ არ გამოსულა მინდორზე თავის ახალგაზრდა ცენტრფორვარდის გარეშე.

ალბერტი ინტელექტუალურ ფეხბურთს თამაშობს. მას მკაცრი ბრძოლა არ უყვარს და მიაჩნია, რომ ტექნიკა მუდამ დაჯაბნის ძალას. იგი წარმოუდგენლად სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, მყისვე ერკვევა ყველაზე უფრო რთულ სათამაშო ვითარებებში. მეტოქის კარი მუდამ მიზანში აქვს ამოღებული და ლამაზი გოლების გატანაც იცის.

იცის! ამაში ეჭვი არავის ეპარება. მაგრამ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში ალბერტმა, დღევანდელი უნგრული ფეხბურთის ყველაზე სახიფათო ფეხბურთელმა, ვერც ერთხელ ვერ აიღო მეტოქის კარი. და მაინც მისმა გამოსვლამ ინგლისში პრესისა და სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. მას პელესა და ეუსებიოს შემდეგ ასახელებდნენ. და ეს იმიტომ, რომ ალბერტი ფეხბურთში მხოლოდ კალატოზი როდია, შენობაში ბოლო აგურს რომ დებს. მის მიერ ფეხბურთის წაკითხვაში მკაფიო ინჟინერული აზრი, თამაშის შენების მართვისა და საგოლე მომენტების შექმნის უნარი გამოსჭვივის.

— ტყუილს ვერ ვიტყვი: როცა გოლი თავად გამაქვს, გაცილებით მეტ სიამოვნებას განვიცდი, — აღიარებს ალბერტი. — მაგრამ ჩვენს გუნდში ბევრი საუკეთესო შემსრულებელია და კმაყოფილი ვარ მაშინაც, როცა რომელიმე მათგანს გოლის გატანაში ვეხმარები.

ასეთია ალბერტი მინდორზე, სისწრაფისა და გაბედულობის 180 სანტიმეტრი, სიმტკიცისა და იდუმალების 77 კილოგრამი. და რამდენადაც ძნელი გამოსაცნობი და ხანდახან გაუგებარიცაა თამაშში ეს ახალგაზრდა, აშკარად გამოხატული ბერძნული ცხვირი რომ ამშვენებს და ჩვენს წინ რბილ სავარძელში ჩამჯდარა ღრმად, ამდენადვე უბრალო და ლაკონურია საუბარში. ნამდვილი ინტელიგენტობა, — აი, ერთადერთი, რაც აკავშირებს ფეხბურთელ ალბერტს თანამოსაუბრე ალბერტთან.

სოფლელი მჭედლის შვილი ფლორიან ალბერტი ჟურნალისტი გახდა, სპორტულ კომენტატორად მუშაობს მტი-ში (უნგრეთის დეპეშათა სააგენტო). იგი თავაზიანია ამ ტაიმ-აუტში, მატჩებს შორის შესვენებაში: ჩვენ ვიცოდით, რომ საბჭოთა კორესპონდენტებთან ინტერვიუს გამო ალბერტმა ვახშამზე უარი თქვა, მაგრამ საუბრისას ერთხელაც არ დაუხედავს საათზე, თუმცა გუნდი, რომელიც ამსტერდამში უნდა გაფრენილიყო, ალბათ, უკვე აეროპორტში შეიკრიბა.

— მე კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო და ვიცი, რომ ეს ასეა, — ამბობს ალბერტი.

ფიზიკური მომზადების მხრივ იგი თავის პარტნიორებს ჩამორჩება, რაც აიძულებს ზოგჯერ მცველთან ორთაბრძოლას გაექცეს. ასეა თუ ისე, ეს გარემოება ასუსტებს მის საბრძოლო უნარს. ეს ნაკლი ხომ არა აქვს ალბერტს მხედველობაში?

— შესაძლოა, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ამბობს ფლორიანი. — მაგრამ არც ტექნიკის მხრივ მაქვს ყველაფერი რიგზე. მთავარი მაინც, რითაც უკმაყოფილო ვარ, — ეს დარტყმის ძალაა. სადღეისოდ უძლიერესი გუნდების მცველები საუკეთესოდ მოქმედებენ და კარის მისადგომებთან მისვლა სულ უფრო ჭირს. ახლა ყველაზე ხშირად შეტევის დაგვირგვინება სულ ცოტა 16 მეტრის მანძილიდან გვიხდება. წვრთნისას უფრო მეტად 25-30 მეტრიდან ვარტყამ ხოლმე კარში, ეს დიდად გამომადგება.

მოგვიანებით, მოსკოვში რომ დავბრუნდით, „ფუტბოლში“ წავიკითხეთ ლევ იაშინის სიტყვები, რომელიც თავის ძველ მეგობარსა და თანამებრძოლს სერგეი სალნიკოვს უთხრა: „ყურადღებას იპყრობს ის გაბედულობა, რომლითაც უტევენ მეტოქის ბანაკში ეულად მყოფი ფორვარდები მოწინააღმდეგის დაცვას. ისინი დრიბლინგის ბრწყინვალე ოსტატები არიან და ზედიზედ რამდენიმე მოთამაშის მოტყუილება შეუძლიათ. თუ წინა ჩემპიონატებში ამის უფლებას თავის თავს მხოლოდ პელე და გარინჩა აძლევდნენ, ამჟამად გამოჩნდა საფეხბურთო სლალომისტების მთელი პლეადა, რომელშიც, პირველ ყოვლისა, ეუსებიო, ალბერტი, სიმოესი და ბოლი უნდა დავასახელოთ“.

„საფეხბურთო სლალომისტი“ — საოცრად ზუსტი და მოულოდნელი შედარებაა! და აი, დრიბლინგის ერთ-ერთი ოსტატი ამტკიცებს, რომ მოსახვევები ფინიშის გზაზე სულ უფრო სახიფათო და ძნელი ხდება, იგი თანახმაა ეძიოს გვერდულა მისასვლელები, მტრის ციხე-სიმაგრეს შორიდან შეუტიოს... რას იზამ! ამაში დამნაშავენი არიან ამ ციხე-სიმაგრის მცველები, ლევ იაშინისთანა მეკარეები დაცვას რომ ხელმძღვანელობენ უზადოდ.

ალბერტი, საერთოდ, მეტად მაღალი აზრისაა ჩვენს პოპულარულ ფეხბურთელზე და როცა მას ვკითხეთ, ყველაზე უფრო ძნელი რომელი მეკარის „აღებაა“-თქო, მან უმალვე იაშინი დაასახელა.

— იაშინს ვერვინ შეედრება, — თქვა ალბერტმა. — იქნებ, გროშიჩი, საუკეთესო ფორმაში რომ იყო. კარგად მაქვს წარმოდგენილი, რა მშვიდად გრძნობს თავს მცველი იაშინით ზურგს უკან.

ფლორიანი მოგვითხრობს, თუ როგორ მოვიდა დიდ სპორტში. 17 წლისა ბუდაპეშტის „ფერენცვაროშში“ ჩარიცხეს და საუკეთესო ოსტატთა კომპანიაში თავის გამოჩენა შეძლო. იმავე 1958 წელს ალბერტი უნგრეთის ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს და ევროპის იუნიორთა ჩემპიონატიდან ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა. ალბერტი ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს.

— როცა მეკითხებიან, ჩემი მონაწილეობით რომელი შეხვედრა დამახსომდა ყველაზე მეტად, მაშინვე მაგონდება 1959 წლის 28 ივლისის მატჩი შვეციელებთან. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა ნაკრებში. იმ დღეს გოლი არ გამიტანია, — 2 ბურთი გიორეჩმა შეაგდო, 1 — შანდორმა, მაგრამ თქვეს, რომ ცუდად არ მითამაშია. კიდევ ერთი მატჩი დამახსომდა, რომელიც იმავე წლის ივლისში ბელგრადს გაიმართა. მაშინ იუგოსლაველთა კარში 3 ბურთი გავიტანე.

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ალბერტი ამბობს, რომ საერთოდ კმაყოფილი დარჩა თავისი თამაშით.

— დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდი კარგად გამოიყურებოდა, — ამბობს ფლორიანი. — გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ უფრო მაღალი ადგილის ღირსი ვიყავით. საბჭოთა კავშირის ნაკრებთან თამაშში ბედმა გვიმუხთლა.

— ახალ მსოფლიო ჩემპიონზე რას იტყვით?

— არ მინდა ვრცლად დავახასიათო ინგლისის ნაკრები: ჩემი შეფასება მათ სრულებით არ მოეწონებათ.

— ფინალისტთა 16 გუნდიდან, რომელი მოგეწონათ მეტად?

— ბუნებრივია, ვერ შევძელი ფინალის ყველა მონაწილის ნახვა. იმათგან, ვისაც თვალყური ვადევნე, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება პორტუგალიის ნაკრებმა დატოვა. პორტუგალიელები ნამდვილ ფეხბურთს თამაშობენ, რასაც ამ სპორტის ნამდვილი მცოდნე მხოლოდ სიზმარში თუ ნახავს.

— რას იტყვით ევროპისა და ლათინური ამერიკის საფეხბურთო სკოლების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე?

— ჩემი კოლეგების — სპორტული ჟურნალისტების უმრავლესობისგან განსხვავებით, არ მიძებნია, უფრო სწორად, არ მიპოვნია პრინციპული განსხვავება ამ ორი საფეხბურთო სკოლის თამაშში. მე მხარს ვუჭერ ლამაზ თამაშს, რომელიც პორტუგალიელებმა და, აგრეთვე, ვფიქრობ, უნგრელებმაც აჩვენეს. ფეხბურთი მხოლოდ თამაში როდია. იგი სანახაობაცაა, რომელმაც სიამოვნება უნდა მიანიჭოს მაყურებელს. მკაცრი ფეხბურთი ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს. თამაში ისე, როგორც ზოგიერთ მატჩში გფრ-მა და, ნაწილობრივ, ინგლისმა ითამაშეს, არ შეიძლება.

— რით ხსნით ბრაზილიელების წარუმატებლობას?

— მათს დაცვაში ძალიან ხანშიშესული ფეხბურთელები თამაშობდნენ. გარდა ამისა, ფეოლას გუნდმა ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე მეტისმეტად ირწმუნა საკუთარი უძლეველობა. ჩვენს გუნდთან წაგების შემდეგაც კი ბრაზილიელები ალბათ ვერ მიხვდნენ რაში იყო საქმე და რა ეღონათ.

—თუ შეიძლება, საბჭოთა კავშირის ნაკრებზე გვითხარით რამდენიმე სიტყვა.

— ძალიან მომეწონა ჩისლენკო, მეტრეველი და მთელი თქვენი დაცვა, უპირველეს ყოვლისა, იაშინი.

— საფეხბურთო სპეციალობით თქვენი კოლეგა — ანატოლი ბანიშევსკი?

— ძალიან კარგი ფეხბურთელია. იგი, როგორც ჩანს, გამოჩენილი ცენტრფორვარდი გახდება. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ ბანიშევსკის ყველაფერი აქვს. მან დღესდღეობითაც ბევრი რამ იცის, მაგრამ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, უშუალოდ კარის მისადგომებთან, იბნევა, ფაციფუცობს და რაც საჭიროა, იმას არ აკეთებს.

ალბერტს ვთხოვთ მსოფლიო ნაკრების თავისი ვარიანტი დაგვისახელოს.

— იაშინი, — ამბობს უნგრელი ფეხბურთელი. — დაცვაში: პორტუგალიელი მორაისი, დასავლეთგერმანელი მოთამაშეები შულცი, შნელინგერი, ბეკენბაუერი, ინგლისელი ნახევარმცველები: მური და რობერტ ჩარლტონი, თავდამსხმელები მეტრეველი, ეუსებიო, პელე, სიმოესი (პორტუგალია)

ალბერტს ვეუბნებით, რომ მეტრეველს ბრინჯაოს მედალი არ მიუღია.

— ცხადია, მოროზოვმა უკეთ იცის, — ამბობს ფლორიანი. — იქნებ ჩისლენკომ ინგლისში გუნდს მეტი სარგებლობა მოუტანა... პირადად მე, მარჯვენა ფრთაზე მეტრეველის მხოლოდ ერთ მეტოქეს ვხედავ — ინგლისელ ბოლს.

საუბრის მიწურულში ალბერტს ვთხოვეთ თავის თავზე, საკუთარ გატაცებებზე, ოჯახზე მოგვითხროს.

— თქვენ ალბათ იცით, რომ ფეხბურთით ვარ გატაცებული, — ღიმილით ამბობს ცენტრალური თავდამსხმელი. — მიყვარს ავტომობილთან ფუსფუსი: ჩემმა „ტაუნუსმა“ უნგრეთის გზებზე მრავალი კილომეტრი დაფარა. ოჯახი? მასში ერთადერთი მამაკაცი მე გახლავართ, თუმცა ეს ოდნავადაც არ მიშლის ხელს ვიმეცადინო სპორტში: ჩემი მეუღლე ირენა დიდი გულშემატკივარია და ცოტა ხნის წინ ჩვენს პატარა გოგონასთან ერთად დაიწყო სტადიონზე სიარული. მაგდონა ჯერ 3 წლისაც არ არის, მაგრამ, ღმერთმანი, ცოტა უკვე მასაც გაეგება ფეხბურთისა.

ზ. ოსიპიანი,
ა. სრებნიცკი.



თამაშობს ფლორიან ალბერტი.

## ფრანგები ეძებენ მწვრთნელს

მსოფლიო ჩემპიონატში ფრანგი ფეხბურთელების უფერული გამოსვლის შემდეგ გადადგა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ა. გერენი. იგი შეცვალა მწვრთნელთა საბჭომ, მაგრამ ამ საბჭომაც ითხოვა გადადგომა მას შემდეგ, რაც ფრანგებმა სექტემბერში წააგეს ამხანაგური მატჩი ბუდაპეშტში უნგრელებთან — 2:4. ახლა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია გაფაციცებით ეძებს ახალ მწვრთნელს, მანამდე კი სთხოვა საბჭოს განაგრძოს საქმიანობა ნოემბრის ბოლომდე. ამავე დროს, ფედერაციამ მწვრთნელთა საბჭოში მიიწვია გამოჩენილი ფრანგი სპეციალისტი ა. ბატიე („გრენობლი“), რომლის მთავარ დამსახურებად ითვლება ნაკრების ტრიუმფი შვეციაში, 1958 წელს.

### ჩემპიონატები, მატჩები. ლიდერები

## ლიდერობენ „რეალ-მადრიდი“ და „ვალენსია“

ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურში მადრიდის „ატლეტიკომ“ მიიღო „ლას-პალმასი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1. ბარსელონაში ერთმანეთს შეხვდა ორი ადგილობრივი გუნდი — „ესპანიოლი“ და „ბარსელონა“. გაიმარჯვა „ესპანიოლმა“ — 2:0.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „საბადელი“ — „კორდოვა“ 3:0, „პონტევედრა“ — „ლა კორუნია“ 1:0, „გრენადა“ — „ატლეტიკო“ (ბილბაო) 1:1, „ელჩე“ — „ვალენსია“ 0:0, „ფკ სევილია“ — „რეალ-მადრიდი“ 0:1, „რეალ-სარაგოსა“ — „ერკულესი“ 2:0.

10-10 ქულით ლიდერობენ „ვალენსია“ და „რეალ-მადრიდი“.

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 უე 06091